

მასწავლებლი, როგორც ეფექტური სასწავლო მასალის ავტორი

თამარ ფალავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველო, ქ. თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. № 1

რეზიუმე

დღეს-დღეობით ინგლისური ენის მასწავლებლის ხელთ არის ენის სწავლების მრავალი საშუალება, როგორცაა სახელმძღვანელოები, ვიდეო და აუდიო მასალა, ვიზუალური საშუალებები და ინტერნეტი. მიუხედავად ასეთი დიდი არჩევანისა, მასწავლებელს შესაძლებელია მაინც დასჭირდეს საკუთარი მასალის შექმნა მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფისთვის. აქ იგულისხმება არა სახელმძღვანელო, არამედ გარკვეული სახის დამატებითი მასალა. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით აქტუალური ხდება ინგლისური ენის უცხოური სახელმძღვანელოების დომინირების ფონზე. ჩვენ გვსურს მასწავლებლებს გავუზიაროთ საკუთარი გამოცდილება და მივცეთ კონკრეტული რჩევები, თუ როგორ შექმნან მასალა, რომელიც უფრო კარგად მოერგება სწავლისა და სწავლების ადგილობრივ ტრადიციებს.

საკვანძო სიტყვები: სასწავლო მასალის ავტორი, სწავლის განსხვავებული სტილი, სამიზნე აუდიტორია, დამატებითი სასწავლო მასალა, სწავლისა და სწავლების ტრადიციები.

ცნობილია სწავლის პროცესში მასწავლებლის გადამწყვეტი როლი. საგნის ცოდნა, შემოქმედებითი მიდგომა სწავლების მეთოდებისადმი, მუდმივი სწრაფვა პროფესიული სრულყოფილებისაკენ, უნარი აღძრას მოსწავლეებში საგნისადმი სიყვარული - ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებენ დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებას.

ამ პუბლიკაციის მიზანია, წარმოაჩინოს მასწავლებლის კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი - სასწავლო მასალის ავტორის როლი. ეს გულისხმობს დამატებითი სასწავლო მასალის შექმნას და არსებული მასალის, კერძოდ სახელმძღვანელოს, მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის მოთხოვნებზე და მიზნებზე მორგებას. ჩვენ გვსურს მასწავლებლებს გავუზიაროთ საკუთარი გამოცდილება და მივცეთ კონკრეტული რჩევები, თუ როგორ შექმნან ეს მასალა.

მასწავლებლის, როგორც დამატებითი სასწავლო მასალის შემქმნელის როლი, დღეს-დღეობით კიდევ უფრო აქტუალურია გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2012 წლის სექტემბრიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილობრივი ავტორების მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს მთლიანად მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი

გამომცემლობის - მაკმილანის მიერ შექმნილი ინგლისური ენის სახელმძღვანელოები ჩაანაცვლებს. ამ პუბლიკაციის მიზანია, დაგვანახოს თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის ავტორი იცნობდეს საკუთარ აუდიტორიას და თუ რამდენად გაიზარდა თითოეული მასწავლებლის როლი მოცემულ სიტუაციაში.

უცხო ენის შესწავლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი თანამონაწილეები არიან - ერთი გადასცემს და მეორე ითვისებს ამა თუ იმ ხალხის სოციალურ კულტურას. განსხვავებული მახასიათებლების მქონე მოსწავლეთა ჯგუფთან მუშაობის ფორმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს. ეს კი გულისხმობს არსებული მეთოდების შეჯერებას და თითოეული კონკრეტული პირისთვის სწავლების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას. მასალის დამუშავების დროს, შეუძლებელია ავტორმა არ გაითვალისწინოს ინდივიდუალურ მოსწავლეებში სწავლის განსხვავებული სტილი და ის თანდაყოლილი უნარ-ჩვევები, რომლებსაც ადამიანები კომბინირებული სახით, ხშირად გაუცნობიერებლად კი, საკმაოდ თავისებურად გამოიყენებენ. ეს თანდაყოლილი უნარები გამორჩეულად იჩენენ თავს ენის სწავლების პროცესშიც და სწორედ მათი გააქტიურების გზით მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან უცხო ენას.

კარგად დაგეგმილი გაკვეთილი და ეფექტურად შემუშავებული მასალა უნდა ემსახურებოდეს ამ თანდაყოლილი უნარების გააქტიურებას, რაც მოსწავლეებს დაეხმარებათ სწავლის ყველაზე ეფექტური გზის პოვნაში. სწორედ სასწავლო მასალის დამუშავება არის გაკვეთილის დაგეგმვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. მასალის თანმიმდევრული და მკაფიო სტრუქტურა განაპირობებს მაქსიმალურად კარგ შედეგს. აუცილებელია მასწავლებელმა მოახერხოს სხვადასხვა ტიპის უნარებზე აგებული სავარჯიშოების ინტეგრირება სასწავლო მასალაში, რათა თანაბრად დააკმაყოფილოს თითოეული მოსწავლე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა დაგეგმოს გაკვეთილი და ან დაამუშავოს მასალა ისე, რომ იგი მოერგოს სხვადასხვა ტიპის მოსწავლეების განსხვავებულ ჯგუფს. ამისთვის მასწავლებელი მუდმივად უნდა იკვლევდეს თავის სამიზნე აუდიტორიას და პოულობდეს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ და რა გზით დააკმაყოფილოს მოსწავლეების ინდივიდუალურ მოთხოვნები და განსხვავებული სწავლის სტილი.

შეუძლებელია ყოველივე ამ კომპონენტის ერთ სახელმძღვანელოში თავმოყრა. ამიტომ აუცილებელია თანამედროვე მასწავლებელმა იცოდეს, თუ რა ხერხებით შეიძლება ამ პრობლემის დაძლევა. დღეს-დღეობით ინგლისური ენის მასწავლებლის ხელთ არის ენის სწავლების მრავალი საშუალება, როგორცაა სახელმძღვანელოები, ვიდეო და აუდიო მასალა, ვიზუალური საშუალებები და ინტერნეტი. მიუხედავად ასეთი დიდი არჩევანისა, მასწავლებელს შესაძლებელია მაინც დასჭირდეს საკუთარი მასალის შექმნა მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფისთვის. აქ იგულისხმება არა სახელმძღვანელო, არამედ გარკვეული სახის დამატებითი მასალა, რომელიც შესაძლებელია მასწავლებელს დასჭირდეს სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე. ამის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ

საკუთარი მასალის შექმნისას მასწავლებელს, რომელიც ამ მომენტში ავტორადაც გვევლინება, შეუძლია თავისი საკუთარი მასალის კონტექსტუალიზაცია და სხვადასხვა მოთხოვნებიდან გამომდინარე კონკრეტულ ჯგუფზე მორგება. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი ხშირ შემთხვევაში აკლია ინგლისური ენის სწავლების მსოფლიო ბაზარზე გამოსულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც, როგორც წესი, ანგლო-ცენტრული რჩებიან და ვერ აკმაყოფილებენ განსხვავებული კულტურისა და თავისებურებების მქონე მოსწავლეების მოთხოვნებს სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში. უცხოური სახელმძღვანელო, თუნდაც ძალიან პოპულარული, შეუძლებელია ზუსტად აკმაყოფილებდეს და შეესაბამებოდეს, ვთქვათ, ქართველი მოსწავლეების მოთხოვნებს, სწავლის სტილს თუ სწავლისა და სწავლების ტრადიციებს. ინგლისური ენის ქართველ მასწავლებელს სასურველი შედეგის მისაღწევად მაინც უხდება უცხოურ სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მოდიფიცირება.

ბევრი მასწავლებელი არ ზოგავს თავის დროს და ენერგიას იმისთვის, რომ შექმნას საკუთარი მასალა, რომელიც ზუსტად არის მორგებული მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს. ჩვენს რეალობაში, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მასწავლებელი მოკლებულია და არ არის გათამამებული თანამედროვე საკლასო აღჭურვილობით. მის განკარგულებაში ზოგჯერ მხოლოდ დაფა და ცარცია. ეს გარემოება აიძულებს მასწავლებელს შექმნას საკუთარი მასალა, რომლის გარეშეც ის ფაქტიურად უძლურია სწავლების პროცესის წარმართვაში. ენის სწავლების თანამედროვე მეთოდი გამუდმებით ემფატირებს სხვადასხვა მოსწავლეების ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობას. ამის საშუალებას იძლევა მასწავლებლის მიერ კონკრეტულ მოსწავლეებზე ორიენტირებული მასალის შექმნა. ასეთ მასალაში მასწავლებელს შეუძლია ჩართოს მოსწავლის მშობლიური ენის, კულტურის და ტრადიციების ელემენტები. იმისათვის რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს სასურველი შედეგი, მასწავლებელს ასევე შეუძლია ზუსტად შეუსაბამოს მასალა ჯგუფის ენობრივი კომპეტენციის დონეს.

საუკეთესო მასალად ითვლება ის მასალა, რომლის ავტორიც ითვალისწინებს და რომელსაც ზედმიწევნით კარგად ესმის მოსწავლეების მოთხოვნები, იცის თუ რაში მდგომარეობს მოსწავლეების ენობრივი სირთულეები, კარგად აქვს შესწავლილი თუ რა ტიპურ შეცდომებს უშვებენ ადგილობრივი მოსწავლეები, იცის, რა არის მოსწავლეების მიზნები, როგორია მათთვის დამახასიათებელი სწავლის სტილი და ა. შ. ყოველივე ეს გულისხმობს მასალის მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას და არა ისეთ მასალას, რომელიც აგებულია, მაგალითად მხოლოდ კურიკულუმის ან სილაბუსის სპეციფიკიდან გამომდინარე. და რადგან, ყოველივე ეს ყველაზე კარგად თავად მასწავლებელმა იცის, სწორედ მასწავლებელი ხდება ყველაზე კომპეტენტური პირი თავისი ჯგუფებისთვის მასალის შედგენის პროცესში.

საკუთარი მასალის შექმნას, რა თქმა უნდა, თან ახლავს უარყოფითი მხარეებიც. ასეთი მასალის უპირველესი პრობლემა არის უსისტემობა. სახელმძღვანელო, როგორც წესი, შედგენილია გარკვეული ფორმატის მიხედვით, რომელიც მართალია ერთგვარად

ერთფეროვან და მონოტონურ სტილს წარმოადგენს, მაგრამ მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვისაც სახელმძღვანელო წინსვლის, პროგრესის უფრო თვალსაჩინო ინდიკატორად რჩება - იგი ნათლად აჩვენებს, თუ რა მასალა გაკეთდა და რა დარჩა გასავლელი, (თუმცა ეს თავისთავად ხარისხს არ გულისხმობს), გარდა ამისა, გამოვლენის მიზნით, მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია მიუბრუნდეს გავლილ მასალას წიგნში. სპონტანურად შექმნილი მასალა, რა თქმა უნდა, არ იძლევა ამის საშუალებას. მკაცრად ორგანიზებული სისტემის გარეშე ასეთი მასალა ხდება მეტად ქაოტური, არაფოკუსირებული, ბუნდოვანი და გაუგებარი მიზნების და მიმართულებების აქტივობების კრებული. შინაარსობრივი ორგანიზაციის გარდა, ასევე აუცილებელია გამოყენებული მასალის შენახვის ორგანიზება, რათა შესაძლებელი იყოს მასალის მრავალჯერადი გამოყენება. ამასთანავე გასათვალისწინებელია დროის დეფიციტის პრობლემა. რაც არ უნდა დიდი უპირატესობით სარგებლობდეს მასწავლებლის მიერ შექმნილი მასალა, რეალობა ასეთია, რომ მასწავლებლების უმეტესობას ასეთი შრომისთვის დრო აღარ რჩებათ. მიუხედავად ამისა, სწავლების სხვადასხვა ეტაპზე შეუძლებელია მასწავლებელს არ დასჭირდეს გაცდეს სახელმძღვანელოს ჩარჩოებს. რეალურად ბევრი მასწავლებელი ქმნის სასწავლო მასალას, რომელიც ემსახურება მის ხელთ არსებული სახელმძღვანელოს მოდიფიცირებას და გამდიდრებას. ეს არ არის იზოლირებული, სასწავლო კურსისგან და სახელმძღვანელოსგან ცალკე მდგომი მასალა. ნებისმიერ სახელმძღვანელოსთან მუშაობის შემთხვევაში (რა თქმა უნდა თუ მასწავლებელი ბრმად არ მიჰყვება წიგნში მოცემულ მასალას), მასწავლებელს აქვს თავისუფლად მოქმედების უფლება, ანუ მას შეუძლია:

- 1) დაამატოს დამატებითი სავარჯიშოები უკვე არსებულ აქტივობებს.
- 2) გამოტოვოს ის აქტივობები თუ სავარჯიშოები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მისი მოსწავლეების საჭიროებებსა თუ მოთხოვნებს.
- 3) ჩაანაცვლოს სახელმძღვანელოში მოცემული მასალა სხვა დამატებითი თუ ავთენტური მასალით.
- 4) შეცვალოს აქტივობების ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგ., წყვილები, ჯგუფები თუ მთელი კლასი.

მასალის დამუშავებისას ან შექმნისას, ასევე აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, თუ რა ემოციურ განწყობას უქმნის ესა თუ ის მასალა მოსწავლეს. ანუ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მასალამ მოსწავლე განაწყოს პოზიტიურად. ეს კი იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუ მასალა საშუალებას მისცემს მოსწავლეს კომფორტულად იგრძნოს თავი და ჰქონდეს რწმენა, რომ იგი შეძლებს სწავლას. ამის მისაღწევად აუცილებელია, სასწავლო მასალა, აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 1) მასალამ მოსწავლეზე არ უნდა იქონიოს ზეწოლა, არ უნდა დაძაბოს და შეაშინოს იგი. მასალა მოსწავლეს უნდა მიეწოდებოდეს მეგობრული ტონით. იგი არ უნდა ახდენდეს გამუდმებით მოსწავლის ტესტირებას და გამოცდას.
- 2) მასალამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის თვითრწმენის და თავდაჯერების განვითარებას. ამიტომ იგი უნდა იყოს საინტერესოდ გამომწვევი და დაძაბვადი.

3) მასალა უნდა იძლეოდეს უკუგებას სწავლის პროგრესის შესახებ, ეხმარებოდეს მოსწავლეებს საკუთარი თავის შეფასებაში და ასევე უზიძგებდეს მათ პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთ სწავლაზე და პროგრესზე.

4) მასალა მისცემს საშუალებას მოსწავლეს უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი იმ შემთხვევაში, თუ იგი არ აიძულებს და არ მოსთხოვს მას პროდუცირება მოახდინოს საწყის ეტაპზე, ანუ მაშინ როცა მოსწავლე ამისთვის ჯერ მზად არ გრძნობს თავს. მასალა უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ სწავლის პროცესი, ისევე როგორც ზრდის პროცესი, არის თანდათანობითი და არა უეცარი და მომენტალური.

იმისათვის, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი მასალა იქნეს ეფექტური და ნაყოფი გამოიღოს ამ შრომაში დახარჯულმა დრომ, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი რჩევები:

1. ინგლისური ენის სწავლების მასალა უნდა იყოს კონტექსტუალიზირებული.

მასალა უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეების გამოცდილებებს, მათ გარშემო არსებულ სინამდვილეს და მათ მშობლიურ ენას. ამის გარდა, მასალის თემები უნდა იძლეოდეს სამიზნე ენის რეალური მიზნებისათვის გამოყენების საშუალებას. მასალამ იმდენად უნდა დააინტერესოს მოსწავლე, რომ მას იგივე თემასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაციის მოძიების სურვილი გაუჩნდეს. თემები შესაძლებელია იყოს საკმაოდ ბანალური, როგორც არის მაგ., ოჯახი, არდადეგები, სპორტი, მაგრამ მასალის შემქმნელის მისიას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ყოველივე ამის სხვა, ახლებური კუთხით წარმოჩენა და ამის შემდეგ ისეთი სავარჯიშოების და აქტივობების მოფიქრება, რომლებიც სამიზნე ენის რეალურად გამოყენების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს. მასალის შედგენისას, აუცილებელია, მასწავლებელმა მხედველობაში მიიღოს სასწავლო კურიკულუმის მიზნები და ამოცანები. მაგრამ, ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს სილაბუსის და კურიკულუმის მოთხოვნების ბრმად მიყოლას.

2. მასალამ უნდა მოახდინოს ინტერაქციის სტიმულირება.

მასალამ მოსწავლეებს უნდა მისცეს მუშაობის და ინტერაქციის საშუალება რეალურ ცხოვრებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციებში. ამისთვის კლასში სამი პირობა უნდა არსებობდეს: პირველ რიგში უნდა გაგვაჩნდეს სათქმელი, უნდა გვყავდეს ობიექტი ვისაც ჩვენს სათქმელს გავუზიარებთ და ამასთანავე გვანტერესებდეს, თუ რა იქნება ჩვენი კომუნიკაციის შედეგი. ამ მიზანს ემსახურება ისეთი სავარჯიშოები, როგორც არის ინფორმაციის მოპოვების და გაცვლის სავარჯიშოები. ასეთი აქტივობები ძალიან კარგად უწყობს ხელს რეალურ და არა ხელოვნურ ინტერაქციას. მოსწავლეებს შორის ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი და ყალბი. მაგ., მოსწავლეებმა არ უნდა დაუსვან კითხვები ერთმანეთს იმის შესახებ, რაზეც პასუხი თვითონვე იციან. ჭეშმარიტი კომუნიკაციის წინაპირობა მხოლოდ მოსწავლეების რეალური მოთხოვნები და საჭიროებებია.

3. მასალამ უნდა უზიძგოს და მისცეს გეზი მოსწავლეებს განავითარონ და დახვეწონ თავად ენის სწავლის უნარები და სტრატეგიები.

შეუძლებელია მასწავლებელმა შეძლოს გაკვეთილის ფარგლებში გადასცეს მოსწავლეებს ყოველივე ის, რაც მათ ენის შესახებ უნდა იცოდნენ. გარდა იმისა, რომ მასალა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ენის უნარ-ჩვევების ათვისებაში, იგი აუცილებლად უნდა აჩვენებდეს მოსწავლეს თავად სწავლის სწავლას და ასევე ეხმარებოდეს და უზიძგებდეს მათ გაბედონ და ყოველი ხელმისაწვდომი საშუალება გამოიყენონ ენის საკლასო ოთახის ფარგლებს მიღმა გამოყენებისა. კლასის მიღმა სიტუაციებში მოქმედების სითამამეს ხელს შეუწყობს ისეთი სტრატეგიების ათვისება, როგორცაა კითხვის დასმა მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად და პერეფრაზირება, რაც ამასთანავე კომბინირებული უნდა იყოს შესაბამის მიმიკასთან და ჟესტიკულაციასთან. გარდა ამისა, მასალამ უნდა მისცეს მოსწავლეს თვითშეფასების საშუალება. შესაძლებელია მასალამ შესთავაზოს მოსწავლეებს ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც დაეხმარება მათ სწორედ განსაზღვრონ თუ სწავლის რომელ სტილს თუ სტრატეგიებს ანიჭებენ ისინი უპირატესობას. ასეთი ტიპის სამუშაოსთვის შესაძლებელია სწავლის პროცესში მშობლიური ენის ჩართვაც, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოთ კარგი შედეგი.

4. მასალამ საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეებს ჩაუღრმავდნენ ენის არა მარტო ფუნქციას არამედ ფორმასაც.

ავტორები ხშირად იმდენად ფოკუსირებულნი არიან საკომუნიკაციო ტიპის სავარჯიშოების შექმნაზე, რომ სრულიად უგულვებელყოფენ ენის ფორმას. არადა, იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ აქტიური და დამოუკიდებელი მოსწავლეები, აუცილებელია მასალამ უზიძგოს მათ ანალიტიკურად მიუდგნენ ენას და გააკეთონ საკუთარი აღმოჩენები ენის სტრუქტურის შესახებ. კარგად შედგენილი მასალა უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ამ ძიებაში და რეგულარული ვარჯიშით მიუთითოს სხვადასხვა ფორმებზე ენის თავისუფალი, შემოქმედებითი გამოხატვის პარალელურად.

5. ინგლისური ენის სწავლების მასალა უნდა იძლეოდეს ენის ინტეგრირებული გამოყენების საშუალებას.

ზოგჯერ მასალა საკმაოდ არაბუნებრივად არის ფოკუსირებული ერთ რომელიმე უნარ-ჩვევაზე. ზოგიერთი კურსი მთლიანად პროდუცირების უნარ-ჩვევებზე არის აგებული და აქედან გამომდინარე კითხვის და მოსმენის უნარ-ჩვევებს ერთგვარად უგულვებელყოფენ, ან პირიქით მთელს მასალაში მხოლოდ საუბრის და წერის უნარ-ჩვევები დომინირებს. არადა, როგორც წესი ადამიანები პარალელურად უსმენენ და საუბრობენ და კითხულობენ და წერენ. იდეალურ შემთხვევაში, წარმატების მისაღწევად, მასალა ენის ყველა უნარ-ჩვევას ბუნებრივად უნდა ინტეგრირებდეს.

6. ინგლისური ენის მასალას საფუძვლად ავთენტური წყაროები უნდა ედოს.

მოსწავლეებს სჭირდებათ აღიქვან, მოუსმინონ და წაიკითხონ ის ენა, რომლის მეშვეობითაც თავად ენის მატარებლები ბუნებრივად ურთიერთობენ ერთმანეთთან. ამიტომ აუცილებელია, თავი მოეყაროს ავთენტური წყაროებიდან, მაგ., ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებულ მასალას, რომლებიც სტუდენტების დონის შესაბამისად იქნება მოდიფიცირებული და დამუშავებული, ისე რომ არ დამახინჯდეს და დაზარალდეს ენა.

ავტენტურ ტექსტზე უფრო მნიშვნელოვანია ავტორმა მოსწავლეს შესთავაზოს ავტენტური დავალებები და აქტივობები, რომლებიც გულისხმობს ენის რეალური მიზნებისათვის გამოყენებას, და რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობს რეალურ კონტექსტს, რომელშიც მათ ხშირად უხდებათ ყოფნა საკლასო ოთახის მიღმა. მასწავლებლის და მის ხელთ არსებული მასალის უმთავრესი მიზანია ჩაუნერგოს მოსწავლეს ენის აღქმის და შესისხლხორცების უნარი, დაეხმაროს მას შეიგრძნოს ენა, მისი სტრუქტურა, ხმოვანება, რაც თავისთავად გაუღვივებს მეტის გაგების და სწავლის სურვილს, მოთხოვნილებას გასცდეს საკლასო ოთახის და წიგნის ფარგლებს. ეს კი იქნება წინაპირობა უცხო ენის რეალურ ცხოვრებაში თავისუფლად და ბუნებრივად გამოყენებისა.

7. მასალა უნდა მისდევდეს გარკვეულ სქემას და იყოს თანმიმდევრული.

ორგანიზებულობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი კომპონენტია მასალის შედგენისას. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა განსაზღვროს კურსის მიზნები, რაც ხელს შეუწყობს მას შექმნას დალაგებული და თანმიმდევრული მასალა, რომელიც შედეგის ნათლად ამსახველი იქნება და შეძლებისდაგვარად მისცემს მოსწავლეებს განვლილი მასალის განმეორების და დანმტკიცების საშუალებას.

8. მასალას თან უნდა ერთვოდეს ნათელი, ადვილად გასაგები ინსტრუქცია.

თავისთავად, რაც არ უნდა კარგი იყოს თავად მასალა, იგი ვერ იმუშავებს თუ არ ექნება ზედმიწევნით დახვეწილი და გასაგები ინსტრუქცია. კარგი ინსტრუქცია იწერება იმ ენით, რომელიც შეესაბამება სამიზნე მოსწავლეების ენის ცოდნის დონეს. მეტა ენის სწორი გამოყენება ხელს უწყობს ეფექტური და თანმიმდევრული ინსტრუქციის შექმნას.

9. ინგლისური ენის სწავლების მასალა უნდა იყოს მოქნილი.

ერთი და იგივე მასალა შესაძლებელია იქნეს გამოყენებული სხვადასხვა აქტივობებისთვის, მაგ., როლური თამაშებისთვის, სხვადასხვა უნარ-ჩვევების სავარჯიშოებისთვის, გრამატიკის განმტკიცებისთვის და სხვა. ეს არჩევანი მასწავლებელმა შესაძლებელია თავად სტუდენტებს მიანდოს და ამით უფრო მეტად ჩართოს ისინი სწავლის პროცესში და ასწავლოს მათ პასუხისმგებლობა საკუთარ შედეგზე.

და ბოლოს, აუცილებელია მოსაწყენ, უხალისო, დამთრგუნველ და დამმონებელ სახელმძღვანელოზე უარის თქმა. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად არ არის ინგლისური ენის სწავლების ხელშემწყობი უცხოური მასალის დეფიციტი, უპირატესობა მაინც იმ ავტორების მიერ შექმნილ მასალას უნდა მივანიჭოთ, რომლებიც კარგად იცნობენ თავის სამიზნე მოსწავლეს, და რომლებიც უცხო ენის კონტექსტს მოსწავლის მშობლიურ კულტურას და რეალიებს არგებენ. ადგილობრივად შექმნილ სახელმძღვანელოს, იმ შემთხვევაში, თუ ის კარგად არის შედგენილი, წარმატების უფრო მეტი შანსი აქვს, რადგანაც ავტორები გაცილებით კარგად იცნობენ მათი პოტენციური მომხმარებლის - მოსწავლის მოთხოვნილებებს და საჭიროებებს. გარდა ამისა, ადგილობრივ ავტორებს შეუძლიათ შექმნან ისეთი მასალა, რომელიც უფრო კარგად მოერგება მათი სწავლისა და სწავლების ტრადიციებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო შორს არის ავტორი

სახელმძღვანელოს მომხმარებლისგან, სავარაუდოდ, მით უფრო ნაკლებად ეფექტური და წარმატებული არის თავად სახელმძღვანელოც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინგლისური ენის მასწავლებელს დღეს არა აქვს მოდუნების უფლება, იგი უნდა გააქტიურდეს და აუცილებლად შეითავსოს ავტორის ფუნქციები იმ მხრივ, რომ შეძლოს შექმნას დამატებითი მასალა და ეფექტურად გამოიყენოს იგი სახელმძღვანელოს პარალელურად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Tomlinson B. "Materials Development in Language Learning". Cambridge University Press
2. Woodward T. "Planning Lessons and Courses". Cambridge University Press